



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რ ე ბ ლ ა მ ე ნ ტ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (გაზეთი „აჭარა“ №157, 31.03.2005) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. XXI თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XXI. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა და დამტკიცება.“

მუხლი 109

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა და დამტკიცება ხორციელდება „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონისა და ამ რეგლამენტის შესაბამისად.

2. მთავრობა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონისა (თავი III, მუხლი 8, „ი“ ქვეპუნქტი) და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის (თავი VI, მუხლი 20, პუნქტი 6) შესაბამისად მორიგი საბიუჯეტო წლის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს წარუდგენს უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს, არაუგვიანეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის 15 მაისისა.

3. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი ორგანიზებას უწევს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში და ფრაქციაში(ებში) განხილვასა და შეთანხმებას. კომიტეტი უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია მთავრობიდან და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებიდან.

4. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი განიხილავს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს და განიხილვის შედეგების გათვალისწინებით ამზადებს დასკვნას, რომელსაც გადასცემს უმაღლესი საბჭოს ბიუროს, მთავრობისათვის წარსადგენად.

5. დასკვნა ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის თაობაზე, მთავრობას ეგზავნება არა უგვიანეს 1 ივნისისა.

6. მთავრობის თავმჯდომარე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის (თავი II, მუხლი 8 და თავი VI, მუხლი 26, პუნქტი 1) შესაბამისად არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტს (განმარტებით ბარათთან და თანდართულ მასალებთან ერთად) და მთავრობის მოხსენებას მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მეშვეობით განსახილველად გადაეცემა უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს, ფრაქციას(ებს) და ეგზავნება კონტროლის პალატას ავტონომიურ რესპუბლიკაში.

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მიღებიდან 2 დღის ვადაში საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი უზრუნველყოფს კანონის პროექტის განხილვის გრაფიკის შედგენას და წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს დასამტკიცებლად.

9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის განხილვის გრაფიკი ეგზავნება უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს, ფრაქციას(ებს), ასევე მთავრობის თავმჯდომარესა და კონტროლის პალატას ავტონომიურ რესპუბლიკაში.

10. კომიტეტები, ფრაქცია(ები), ასევე კონტროლის პალატა ავტონომიურ რესპუბლიკაში დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, 12 დღის ვადაში განიხილავენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტს და თავიანთ დასკვნებს უგზავნიან საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს. დასაშვებია უმაღლესი საბჭოს ცალკეულ წევრთა დასკვნების წარმოდგენაც.

კონტროლის პალატა, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის შემაჯამებელ სხდომამდე 2 დღით ადრე უმაღლეს საბჭოს წარუდგენს დასკვნას რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის კანონიერებისა და საფუძვლიანობის თაობაზე.

11. კომიტეტების დასკვნაში სრულად უნდა აისახოს:

- ა) შესაბამისობა კანონმდებლობასთან;
- ბ) მიზნობრივი პროგრამების შეფასება;
- გ) დასკვნითი ნაწილი (შენიშვნები, წინადადებები და კომენტარები);
- ე) შენიშვნები (კრებსითი) დანართის სახით.

12. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი, უმაღლესი საბჭოს ბიუროს კვირაში ერთხელ წარუდგენს ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვის მიმდინარეობის შესახებ.

13. კომიტეტებისა და ფრაქციის(ების) მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის განხილვაზე სასურველია მოწვეული იყვნენ მთავრობის მიერ უფლებამოსილი პირები, სამინისტროს ხელმძღვანელები და წარმომადგენელი კონტროლის პალატიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

14. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი სხვა კომიტეტების და უმაღლესი საბჭოს ცალკეულ წევრთა დასკვნებს და შენიშვნებს (კრებსითი სახით) განსახილველად წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს, კანონის პროექტის კომიტეტში შემოსვლიდან არაუგვიანეს 14 დღისა.

15. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის შესახებ დასკვნებს შენიშვნებთან (კრებსითი სახით) ერთად, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის მიერ გადაცემიდან ორი დღის ვადაში, უგზავნის მთავრობის თავმჯდომარეს.

16. დასკვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში მთავრობა შეისწავლის უმაღლესი საბჭოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებს და კანონის (იმავე ან გადამუშავებულ) პროექტს განსახილველად წარუდგენს უმაღლეს საბჭოს. კანონის პროექტს (რომლის თითოეული გვერდი ვიზირებული უნდა იქნეს პროექტის მომზადებისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ) უნდა ერთვოდეს:

- ა) ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილ თითოეულ შენიშვნაზე, წინადადებაზე და კომენტარზე მდგომარეობის გათვალისწინების თაობაზე (შენიშვნების ამსახველი ფურცელი), ამასთან უმაღლესი საბჭოს მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები, რომელთა გათვალისწინება მთავრობამ ცნო მიზანშეწონილად, შეტანილი უნდა იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტში.
- ბ) განმარტებითი ბარათი, პროექტში შეტანილი ცვლილებების (მუხლების მიხედვით) თაობაზე.

17. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლეს საბჭოში ხელმეორედ წარდგენისთანავე საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის

დეპარტამენტის მეშვეობით ეგზავნება უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და კონტროლის პალატას ავტონომიურ რესპუბლიკაში.

18. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონისა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების ვადების დარღვევის შემთხვევაში საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი ვალდებულია საკითხი შეიტანოს უმაღლესი საბჭოს ბიუროზე და ამ მიზნით მიმართოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს რიგგარეშე ბიუროს სხდომის მოწვევის თაობაზე, ამასთან საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ვალდებულია უზრუნველყოს მთავრობის წევრის მოწვევა.

მუხლი 110

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განიხილება მთავრობის თავმჯდომარის მიერ მისი ხელმეორედ წარდგენიდან არაუადრეს სამი დღისა და არაუგვიანეს 10 დღისა, ამ თავით დადგენილი წესით, ერთი მოსმენით.

2. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტსა და მოხსენებას მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარადგენს მთავრობის თავმჯდომარე ან უფლებამოსილი პირი (მთავრობის წევრი) შესაბამისი სამართლებრივი აქტით მიღებული დავალებით.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის განხილვისას, მთავრობის წევრის გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 1 საათს, რომლის გაგრძელება შესაძლებელია უმაღლესი საბჭოს თანხმობით. მთავრობის წევრის მოხსენების შემდეგ სიტყვით, არაუმეტეს 30 წუთის ხანგრძლივობისა, გამოდის თანამომხსენებელი – უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ან კომიტეტის უფლებამოსილი პირი.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის თაობაზე სიტყვით, არაუმეტეს 10 წუთის ხანგრძლივობისა, გამოდის კომიტეტების, ფრაქციის(ების) და კონტროლის პალატის ავტონომიურ რესპუბლიკაში თავმჯდომარეები. გამოსვლების დასრულების შემდეგ იმართება კამათი, რომელიც მიმდინარეობს ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

5. კამათის დამთავრების შემდეგ:

ა) სხდომის თავმჯდომარე აცხადებს შესვენებას არა ნაკლებ 3 დღისა და არა უმეტეს 15 დღისა;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის განხილვაში შესვენების გამოცხადებიდან ორი დღის ვადაში კომიტეტები, ფრაქცია(ები), თავიანთ დასკვნებსა და წინადადებებს (შენიშვნებს) წარუდგენენ საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს, რომელიც მომდევნო დღეს თავის დასკვნასთან და წინადადებებთან (შენიშვნებთან) ერთად წარუდგენს მათ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს;

გ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიღებულ დასკვნებსა და წინადადებებს (შენიშვნებს) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის განხილვის თაობაზე მეორე დღესვე უგზავნის მთავრობის თავმჯდომარეს;

დ) მთავრობის თავმჯდომარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტზე დასკვნებისა და წინადადებების (შენიშვნების) გადაცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა უმაღლეს საბჭოს გადასცემს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტს ამ რეგლამენტის 109-ე მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციასთან ერთად, რომელიც იმავე დღეს ეგზავნება კომიტეტებსა და კონტროლის პალატას ავტონომიურ რესპუბლიკაში;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის განხილვა გრძელდება მთავრობის თავმჯდომარის ან უფლებამოსილი პირის (წევრის) მოხსენებით, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს;

ვ) უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლება აქვთ რეგლამენტით დადგენილი წესით დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს ან გამოვიდნენ სიტყვით;

ზ) სიტყვით გამოსვლების დასრულების შემდეგ დასკვნითი სიტყვით, არამეტეს 20 წუთის ხანგრძლივობისა, გამოდის მთავრობის თავმჯდომარე ან უფლებამოსილი პირი (მთავრობის წევრი), რომელსაც აქვს უფლება შესთავაზოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მიღება.

6. უმაღლესი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, დადგენილებით, ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე (გამონაკლის შემთხვევაში – არა უგვიანეს ახალი საბიუჯეტო წლის 1 მარტისა) იღებს ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს.

7. თუ უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტს, მორიგი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, შესაძლებელია მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრთა შემთანხმებელი კომისიის მონაწილეობით კანონის პროექტის იმავე ან გადამუშავებულ კანონის პროექტს ხელახლა ევაროს კენჭი.

8. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი, კანონი და მისი დანართები უნდა გამოქვეყნდეს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ, რათა ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისათვის.

9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის წარდგენის, განხილვისა და დამტკიცების წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მიღებისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს დადგენილებით – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ, კანონის პროექტის განხილვის ახალი ვადების დაწესების შესახებ.

კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ხარჯების შემცირებას, პლენარულ სხდომაზე შეიძლება განხილულ იქნეს მისი წარდგენიდან ერთი თვის შემდეგ.“.

2. XXV თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„XXV თავი. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის შედგენა, წარდგენა, განხილვა და დამტკიცება. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშის წარდგენა, განხილვა და დამტკიცება.

მუხლი 136

1. უმაღლესი საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს მორიგი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრა და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის წარდგენა ხდება არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 აპრილისა.

2. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას, საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს მორიგი წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენა ხდება კომიტეტების, ფრაქციის(ების) და უმაღლესი საბჭოს აპარატის განაცხადების საფუძველზე უმაღლესი საბჭოს საფინანსო, სამეურნეო და სატრანსპორტო დეპარტამენტის მიერ ხაზინადართა საბჭოს წინადადებათა გათვალისწინებით და ეგზავნება საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს.

3. უმაღლესი საბჭოს მორიგი წლის ბიუჯეტის პროექტს თავის დასკვნასთან ერთად საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი განსახილველად გადასცემს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი წლის ბიუჯეტის პროექტში სხვა ხარჯებთან ერთად, როგორც წესი, მითითებული უნდა იყოს უმაღლესი საბჭოს თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის გათვალისწინებული ასიგნებანი.

4. უმაღლესი საბჭოს მორიგი წლის ბიუჯეტი მტკიცდება უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, დადგენილებით, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე, რათა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გათვალისწინებული იქნეს მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტში.

5. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მისთვის გამოყოფილი ასიგნების გადანაწილებისათვის დადგენილი უფლების გამოყენება შეუძლია შეუზღუდავად, ამასთან, დამტკიცებული ასიგნებების ოდენობის 10%-ის ფარგლებში – უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით, სხვა შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს დადგენილებით.

6. უმაღლეს საბჭოში საფინანსო საქმიანობას აკონტროლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული ხაზინადართა საბჭოს მეშვეობით, რომელიც არის სათათბირო ორგანო და რომლის საქმიანობის წესი განისაზღვრება ხაზინადართა საბჭოს დებულებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭო.

7. უმაღლესი საბჭოს წევრის ხელფასიდან და სადეპუტატო უფლებამოსილების ანაზღაურებიდან ამ რეგლამენტით და უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული დისციპლინარული დარღვევების შემთხვევებში, ფულადი ჯარიმის სახით დაკავებული თანხები აისახება უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში. ასახული თანხების მიზნობრივად განკარგვის თაობაზე კონკრეტულ წინადადებებს ამზადებს ხაზინადართა საბჭო. თანხის განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებას, უმაღლესი საბჭოს ბიუროსთან შეთანხმებით, იღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 137

1. უმაღლესი საბჭო, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის მეშვეობით, ახორციელებს საერთო თანმიმდევრულ კონტროლს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაზე. სხვა კომიტეტები ბიუჯეტის შესრულების კონტროლს, როგორც წესი, ახორციელებენ შესაბამისი სფეროების მიხედვით.

უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გააკონტროლოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება. დარღვევის ან დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში უმაღლესი საბჭო მიმართავს მთავრობის თავმჯდომარეს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით.

2. მთავრობა ყოველი კვარტლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, უმაღლეს საბჭოს წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშს (ნაზარდი ჯამით), რომელიც მოიცავს:

ა) საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენებს;

ბ) შემოსულობების, გადასახდელების, სესხების ან დაფინანსების სხვა წყაროების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან, ძირითადი განსხვავებების განმარტებებს.

გ) ინფორმაციას მთავრობის სარეზერვო ფონდის (მთავრობის გადაწყვეტილება, მხარჯავი დაწესებულება, თანხის მოცულობა და ათვისების მდგომარეობა, თითოეულ ასიგნებაზე ცალ-ცალკე) განკარგვის თაობაზე.

ანგარიშები განსახილველად ეგზავნება უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს და ფრაქციას(ებს). უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი 12 დღის ვადაში დებულობს დასკვნებს კომიტეტებიდან და თავის დასკვნასთან ერთად წარუდგენს მათ უმაღლესი საბჭოს ბიუროს. აუცილებლობის შემთხვევაში შედეგები განსახილველად გადაეცემა უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას. კომიტეტები უფლებამოსილნი არიან ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით მოითხოვონ საჭირო ინფორმაცია და მიიღონ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსირებადი საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან.

3. მთავრობის თავმჯდომარე საანგარიშო საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს უმაღლეს საბჭოს წარუდგენს საანგარიშო საბიუჯეტო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 15 მარტისა.

4. მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლეს საბჭოში წარდგენილი საანგარიშო საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის ორგანიზებას უზრუნველყოფს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.

5. საანგარიშო საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში თანდართულ მასალებთან ერთად 2 დღის ვადაში გადაეცემა უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს, ფრაქციას(ებს), ცალკეულ უმაღლესი საბჭოს წევრებს და ეგზავნება კონტროლის პალატას ავტონომიურ რესპუბლიკაში.

6. საანგარიშო საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მიღებიდან ორი დღის ვადაში, კომიტეტებთან და ფრაქციასთან(ებთან) შეთანხმების შემდეგ, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი უზრუნველყოფს წლიური ანგარიშის განხილვის გრაფიკის შედგენას და წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს დასამტკიცებლად.

7. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი უმაღლესი საბჭოს ბიუროს კვირაში ერთხელ წარუდგენს ინფორმაციას საანგარიშო საბიუჯეტო წლის

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის უმაღლეს საბჭოში განხილვის მიმდინარეობის შესახებ.

8. კომიტეტები თავიანთი სფეროების მიხედვით და ფრაქცია(ები) განიხილავენ საანგარიშო საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის ინფორმაციას (დასკვნას) რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური ანგარიშის შემოწმების შედეგების შესახებ წარდგენიდან არაუგვიანეს 30 დღისა და თავიანთ დასკვნებს უგზავნიან საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს, რომელიც სამი დღის ვადაში თავის დასკვნასთან ერთად წარუდგენს მათ უმაღლესი საბჭოს ბიუროს განსახილველად.

მუხლი 138

1. კონტროლის პალატის ინფორმაციას და საანგარიშო საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს უმაღლესი საბჭო განიხილავს პლენარული სხდომაზე მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 60 დღისა და არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 ნოემბრისა იღებს დადგენილებას საანგარიშო საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

2. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე დამტკიცება საანგარიშო საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება მიმდინარეობს ამ რეგლამენტით კანონის პროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის დადგენილი წესით, ერთი მოსმენით, პირდაპირი კენჭისყრით.

3. საანგარიშო საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მტკიცდება იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად და სრულად ასახავს გასულ საბიუჯეტო წელს ბიუჯეტში შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობებს, ხარჯების კანონიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლეს საბჭოს შეუძლია არ დაამტკიცოს ანგარიში.

4. საანგარიშო საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება ხორციელდება „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის (მე-V თავში განსაზღვრული პრინციპების) შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

მიხეილ მახარაძე

ბათუმი
2007 წლის _____
№ _____

